# საქართველო აღაშფოთა სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებამ. რესპუბლიკის სპორტული სამყარო უერთდება ერის ხმას— საქართველო განუყოფელია!


# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

11 იანვარი, პარასკევი, 1991 წ.
№ 5 (10418) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## ოფიციალური ცნობა

9 იანვარს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დაუგეგმავი, საგანგებო სხდომა, რომელზედაც განიხილეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს სს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის გამო“. სხდომაზე გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია.

უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულების თაობაზე. დაწვრილებითი მასალები გუშინ გამოაქვეყნა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“.

მოსკოვი, კრემლი

## მიხეილ გორბაჩოვს!

საქართველოს სპორტსმენები გულის სიღრმემდე შეცვძრა თქვენმა უცვლად მოულოდნელმა და უოვლად გაუმართლებელმა ბრძანებულებამ, რომელიც თქვენ სასწრაფოდ მიიღეთ და ასევე სასწრაფოდ, ხელის მოწერისთანავე, მიანიჭეთ იურიდიული ძალა.

მოგვიტევეთ, მაგრამ არ შეიძლება აღნიშნული ბრძანებულება არ შეფასდეს როგორც ქართველი ერის, ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის დასათრგუნავად და ერთა შორის შუღლის გამწვავებისაკენ გამიზნული ნაბიჯი. თქვენ, როგორც ნობელის — მშვიდობის პრემიის ლაურეატს, უნდა გცოდნოდათ, რა შეიძლება მოჰყოლოდა ასეთ ნაბიჯს.

ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები, სპორტის დამსახურებული ოსტატები, დამსახურებული მწვრთნელები:

ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, დ. ციმაკურიძე, ზ. კარტოზია, ვ. ბალავაძე, რ. ჩიმიშკიანი, მ. ჯულელი, გ. შარაბიძე, გ. სხირტლაძე, რ. რურუა, ნ. გაფრინდაშვილი, მ. ჩიბურდანიძე, ნ. ალექსანდრია, ნ. იოსელიანი, შ. ლომიძე, რ. აბაშიძე, მ. ცალქალამანიძე, ნ. ასათიანი, ვ. კაკარაია, ზ. კოსტავა, გ. სადარაძე, ლ. ძძკონაძე, ა. თეოსიანი, ჯ. წაქაძე, ლ. მოსეშვილი, ვ. უზრეხელიძე, გ. მინაშვილი, ზ. საკანდელიძე, მ. ქორქია, ო. ფხაკაძე, ა. ანზილოზოვი, რ. სიხარულიძე, შ. ქველიაშვილი, დ. კვაჭაძე, ვ. სალუქვაძე, ა. კვეტენაძე, ჯ. ბურჯანაძე, ნ. სალაძე, ა. მეტრეველი, თ. კაკულია, ქ. ლოსაბერიძე, მ. სალაძე, შ. საბარელი, თ. სუბულური, ი. მაღალაშვილი, თ. აფხაზავა, ვ. ბლაგიძე, თ. ყაზარაშვილი, ნ. სალუქვაძე, ი. ზაბაშვილი, ლ. დოლიძე, გ. ბურბენიძე, ნ. ახალკაცი, გ. ზედესაური, დ. ცაბეჯიშვილი, ვ. გოგოლაძე, ა. ტოტიკაშვილი, კ. კურტანიძე, მ. ზერუაშვილი, ნ. ანისიმოვა, ი. ზიორგოზიანი, ი. ოვოიანი, რ. სოფერია, ნ. ნასარიძე, ა. დოლონაძე, ჯ. მეძლიშვილი.

## ბატონო მიხეილ სერგის ძევ!

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი, რომელიც მოწოდებულია ოლიმპიური ქარტიისა და თავისი წესდების შესაბამისად დაიცვას ოლიმპიური იდეალები ქვეყნად მშვიდობისა და მეგობრობის დასამკვიდრებლად, გამოთქვამს მტკიცე პროტესტს თქვენს მიერ ა. წ. 7 იანვრის ბრძანებულების გამო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი ზემოაღნიშნულ ანტიკონსტიტუციურ აქტს განიხილავს, როგორც უხეშ, ძალისმიერ ჩარევას საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში და კატეგორიულად მოითხოვს, შეჩერებულ იქნას 7 იანვრის ბრძანებულების მოქმედება.

ნონა გაფრინდაშვილი,
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

---

მოსკოვი, კრემლი

## საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს!

პოლიტიკა ჩვენი საქმიანობის სფეროს არ წარმოადგენს, მაგრამ არის მომენტები, როდესაც განზე დგომა ღალატის ტოლფასია სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

გამოვხატავთ რა ჩვენს მოქალაქეობრივ პოზიციას, მთლიანად ვუჭერთ მხარს რესპუბლიკის პარლამენტს და გადაჭრით ვგმობთ საქართველოს შინაურ საქმეებში უხეში ჩარევის მცდელობის აქტს.

დაბეჯითებით მოვითხოვთ თქვენი 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შეჩერებას, რადგან იგი არ ემსახურება მშვიდობიან მიზნებს, კიდევ უფრო ამძაფრებს ექსტრემისტებისა და სეპარატისტების მიერ გაღვივებულ დაძაბულობას მომძმე ხალხებს შორის.

პროფკავშირების საქართველოს ეროვნული სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭო





გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. სიტყვით გამოსულებმა: ოსმა შ. კუდუხოვმა, აზერბაიჯანელმა ს. ბაშირმა, რუსმა ო. გაზიზოვამ, ქართველებმა — ე. კობალიამ, მ. ბერუაშვილმა, ა. მხეიძემ და სხვებმა დაგმეს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება. მ. გორბაჩოვს გაეგზავნა საპროტესტო დეპეშა, რომელსაც ხელს აწერს კოლექტივის ყველა წევრი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ გორბაჩოვს!

მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაცია გულისწყრომას გამოთქვამს 7 იანვარს თქვენს მიერ მიღებული ბრძანებულების გამო, რომლითაც ილახება საქართველოს სუვერენული უფლებები, იმედი გვაქვს ყურს მიუგდებთ საზოგადოებრიობის ხმას და შეაჩერებთ თქვენს ბრძანებულებას.

ასოციაციის პრეზიდიუმი

## სსრ კავშირის პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ გორბაჩოვს!

თბილისის № 1 საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერის კოლექტივის თანამშრომლები უპრეცედენტოდ მიიჩნევენ თქვენს მიერ მიღებულ ბრძანებულებას და გამოთქვამენ თავიანთ გულისწყრომას. თქვენმა ბრძანებულებამ ხელი შეუწყო მდგომარეობის დესტაბილიზაციას საქართველოში, მოვითხოვთ ამ ბრძანებულების შეჩერებას.

კოლექტივის სახელით,
მთავარი ექიმი ო. ვირუბოვი.

**ყველა ტექსტი, რომელიც „ლელოს“ დღევანდელ ნომერში ქვეყნდება, გაეგზავნა მ. გორბაჩოვს.**

---

## შეიქმნა „სამაჩაბლოს ალორძინების ფონდი“. თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ საქართველოს მრეწველმშენბანკის საოპერაციო სამმართველოში სფბ № 521921. „სამაჩაბლოს ალორძინების ფონდი“

# 00700750

**ველით თქვენს გამოხმაურებას. თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ „ლელოს“ რედაქციაში.**

### 5000 — სპორტის სასახლიდან

სპორტის სასახლის შრომითმა კოლექტივმა (დირექტორი თ. ლომიძე, პროფკომიტეტის თავმჯდომარე ე. ქობალია) სამაჩაბლოს ფონდში გადარიცხა 5000 მანეთი.

### „სიმხნევე — 88“ ტრადიციას არ ღალატობს

სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივი „სიმხნევე—88“ შექმნის დღიდან ერთ-ერთი პირველი შევიდა იმ ორგანიზაციების სათვალავში, რომლებსაც წვლილი შეაქვთ ეროვნულ საქველმოქმედო საქმიანობაში. კოოპერატივის თავმჯდომარემ ლევან ყურაშვილმა გვაცნობა, რომ ამჯერად მათ სამაჩაბლოს ფონდში 300 მანეთი, ხოლო 200 მანეთი მ. კოსტავას სახელობის ფონდში გადარიცხეს.

### პირადი დანაზოგიდან

### 1000 მანეთი

რედაქციაში წარმოგვიდგინეს სალაროს ქვითარი, რომელიც ადასტურებს, რომ თბილისელმა მოქალაქემ ალექსი გოგოხიამ „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში“ პირადი დანაზოგიდან 1000 მანეთი შეიტანა.

### 5000 — თიანეთიდან

თიანეთის რაიკოოპერატივის მუშა-მოსამსახურეებმა სამაჩაბლოს ფონდში შეიტანეს 5 ათასი მანეთი.

მეჩიაური (დეპეშით).

### სოფელი კურსები — 7000!

„ლელოს“ რედაქციას! გილოცავთ შობის დღესასწაულს. ტყიბულის სოფელ კურსების კოოპერატივმა „სამებამ“ სამაჩაბლოს ფონდში ჩარიცხა 7 ათასი მანეთი.

კოოპერატივის თავმჯდომარე
ემზარ ლალიძე (დეპეშით).

საქართველოს ზამთრის პირველობა მშვილდოსნობაში

## სარეკორდოდ მოზიდული ისრები

**მშვილდოსანთა** საქართველოს ზამთრის პირველობამ, რომელსაც ვაკის მძლეოსნური მანეჟი რამდენიმე დღეს მასპინძლობდა, შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენებს მოუყარა თავი და აქ პატარა სენსაციაც მოხდა. არავის აეჭვებდა ის, რომ ასპარეზობას ტონს მისცემდნენ ჩვენი შესანიშნავი „ამორძალები“, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები — ნატო ნასარიძე და ხათუნა ქვრივიშვილი, რომლებმაც ბრწყინვალედ განვლეს შარშანდელი სეზონი. ბევრი ამ ერთგვარ „დუელში“ წარმატებას ნატოს უწინასწარმეტყველებდა, რადგან, მას უმცროს კოლეგა-მეტოქესთან შედარებით, მეტი სატურნირო გამოცდილება ჰქონდა.

მაგრამ ეს პროგნოზი სრულიად „იავარ ჰყო“ ხ. ქვრივიშვილმა — მ-1 ვარჯიშში მან წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა ძლიერ მეტოქეს (ორივე სპორტსმენი „მართვეს“ აღზრდილია) და 15 ქულით გაუსწრო მას. ჩემპიონმა 324 ქულა დააგროვა, ნ. ნასარიძემ — 309; 298 ქულით მესამე ადგილზე გავიდა ეკა აბაიშვილი („შევარდენი“).

როცა დავინტერესდი ფავორიტის „ჩავარდნის“ მიზეზით, განმაცვიფრა მისმა სრულიად მშვიდმა განწყობილებამ. ნატომ განმიმარტა:

„საქმე ის იყო, რომ მწვრთნელთან შეთანხმებით, გადავწყვიტე, რომ ნავ შემეცვალა მშვილდის კონსტრ-

იხ. მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**თემურ ჯაფარიძე:**

**„ქართულ ცირკში, პირველ ყოვლისა, უნდა აღდგეს კრივი და ჭიდაობის სხვადასხვა სახეობები, განსაკუთრებით ქართული ჭიდაობა“.**

**ნანა მელქაძე:**

**„როდესაც ქართული საცირკო დასი ჩამოყალიბდა, რიცხობრივად ყველაზე მეტნი სპორტსმენები იყვნენ“.**



ინტერვიუ

# ქართული ცირკის ტრადიციების აღსადგენად

**● ბატონო თემურ, ქალბატონო ნანა! თქვენი ხელი ქართულ ცირკს საქმით დაეტყო, რაც უდავოდ მისასალმებელია. საცირკო ოსტატობა, როგორც ხელოვნების დარგი, ახლოს დგას სპორტთან. იყო დრო, დიდი სპორტიდან წასული ათლეტები თავის საქმიანობას საცირკო ხელოვნებაში აგრძელებდნენ. როგორ ფიქრობთ, უნდა აღდგეს თუ არა ეს ტრადიცია?**

თემურ ჯაფარიძე — ტრადიციები, რაც ქართულ ცირკს გააჩნდა, უეჭველად უნდა აღდგეს, თუმცა, ამ საქმეს დიდი შრომა დასჭირდება.

ნანა მელქაძე — გეთანხმებით. ეროვნულმა ცირკმა უნდა დაიბრუნოს ტრადიციები, საქმით კი, ჯერჯერობით აბა, რა გითხრათ... ყველაფერს თავიდან ვიწყებთ. ხელშემშლელი მიზეზი ბევრია. იმედია, დაბრკოლებებს დავძლევთ, რადგან გვასულდგმულებს ერთი მიზანი — აუცილებლად აღდგეს ქართული საცირკო ხელოვნების დიდება, ტრადიციები. გავიხსენოთ ძველი სახელები: ძალოსანთა ჯგუფი სპორტის ოსტატ ლექსო მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით, აკრობატი გოგონები — დოდო მძელური და ლამარა ვაშაკიძე, ამჟამად ჩვენი ცირკის მანეჟის ინსპექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გურამ გარსევანიშვილი, ტანმოვარჯიშეები გიორგი და ლარისა აღდგომელაშვილები; მუდამ მადლიერებით ვიხსენებთ ჰამლეტ და ვაჟა ნატროშვილებს, ნიკო მთვრალაშვილს, თენგიზ სამხარაძეს, ზურაბ ტორჩინავას, მერაბ ნიქაბაძეს... ბევრმა მათგანმა საერთოდ მიატოვა ცირკის სარბიელი. ბევრი კი, სამწუხაროდ, „სოიუზგოსცირკში“ აგრძელებს მუშაობას...

როდესაც ქართული საცირკო დასი ჩამოყალიბდა, რიცხობრივად, ყველაზე მეტნი სპორტსმენები იყვნენ. ამჟამად, აღარც დასი არსებობს (იგი შარშან დაიშალა სხვადასხვა მიზეზების გამო) და არც ერთი სპორტსმენი აღარ მუშაობს ჩვენთან. დიახ, სპორტსმენები კვლავ უნდა მოვიწვიოთ ქართულ ეროვნულ ცირკში სამუშაოდ.

**● კონკრეტულად რომელი სპორტული ელემენტების, სახეობების გაცოცხლებას აპირებთ ქართულ, ეროვნულ ცირკში?**

თ. ჯ. — პირველ ყოვლისა, უნდა აღდგეს კრივი და ჭიდაობის სხვადასხვა სახეობები, განსაკუთრებით ქართული ჭიდაობა.

ნ. მ. — აუცილებლად უნდა აღორძინდეს ტანვარჯიში, აკრობატიკა, მძლეოსნობა და ჯირითი. კიდევ ერთხელ დაბეჯითებით ვიმეორებ, რომ ჩვენი დიდი სურვილია ის სპორტსმენები, რომლებმაც უკვე დასტოვეს სპორტული ასპარეზი და სპორტისათვის „ხანდაზმულად“ ითვლებიან, ამოგვიდგნენ მხარში. ერთად ავაღორძინოთ ქართული ცირკის ტრადიციები.

**● ამას წინათ მკითხველებს ვაუწყეთ, რომ ცნობილი ქართველი ტანმოვარჯიშეები მოსკოვის ცირკში გადავიდნენ სამუშაოდ. ახლო მომავალში თქვენ რომელი სახეობების წარმომადგენლებს მიიწვევდით ეროვნულ ცირკში?**

თ. ჯ. — ძირითადად, ტანმოვარჯიშეებს, აკრობატებს და ბატუტზე მოხტუნავეებს.

ნ. მ. — ქართველი ტანმოვარჯიშეების „სოიუზგოსცირკის“ სისტემაში გადასვლას, დღემდე მოეძებნებოდა გამართლება, ვინაიდან მათ შინ არ გააჩნდათ მუშაობის ელემენტარული პირობები, რაშიც ბრალი, სამწუხაროდ, ჩვენი ცირკის ყოფილ ხელმძღვანელობასაც მიუძღვის. დღეს ჩვენთან ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა და ხმამაღლა ვაცხადებთ: მზად ვართ, მივიღოთ ყველა სპორტსმენი, ვისაც გული შესტკივა და სურვილი აქვს, თავისი სიტყვა თქვას ჩვენს საცირკო არენაზე; შევეცდებით, ყველა პირობაც შევუქმნათ მათ.

**● აპირებთ თუ არა ცირკში გააცოცხლოთ წმინდა სპორტული სანახაობები? ადრე, მაგალითად, ცირკს დიდძალი ხალხი ეტანებოდა, ძირითადად, აქ იმართებოდა შეჯიბრებები ჩვენს ეროვნულ საუნჯეში — ქართულ ჭიდაობაში. გვესმის, ახლა სხვა დროა, მაგრამ ხომ შეიძლება, თქვენ თქვენი შეჯიბრება ჩაატაროთ, ვთქვათ, „ქართული ცირკის პრიზზე“?**

თ. ჯ. — ჩვენ მზად ვართ, გადავდგათ ასეთი ნაბიჯი, თუ თქვენი გაზეთიც მხარს დაგვიჭერს.

ნ. მ. — მომეწონა თქვენი შეკითხვა. ამ წუთში, ჩემს მეხსიერებაში ელვის სისწრაფით გაიქროლა ჩემი ბავშვობის წლებმა, როცა ლეგენდასავით მომითხრობდნენ, როგორ გამოდიოდა ქართული ცირკის არენაზე არაჩვეულებრივი აღნაგობის და ულამაზესი გარეგნობის ცნობილი ქართველი მოჭიდავე ნიკოლოზ ქვარიანი; ხალხს რა დაავიწყებს ნესტორ ესებუას, სანდრო კანდელაკს — მათი გამოსვლები, რაც მთავარია, სანახაობა იყო. განა ჩვენი ცირკის არენაზე არ უნახავთ სახელგანთქმული ქართველი ფალავანი, აწ განსვენებული ანზორ კიკნაძე, ანდა, სახელოვანი გივი კარტოზია? ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი... ამ გვარების გახსენების შემდეგ, შეიძლება, თანახმა არ ვიყოთ, რომ ჩვენს ცირკში აღორძინდეს ოდინდელი ტრადიცია?

**● ცირკის მიმდებარე ტერიტორია, შეიძლება თუ არა, გამოიყენოთ მოსახლეობის კულტურული დასვენებისა და გართობის ადგილად, ამის შესაძლებლობები, ვფიქრობთ, ნამდვილად არის. ცხადია, მეტ ხალხს მოიზიდავდით, თუ მიმდებარე ტერიტორიაზე დაიდგმებოდა ინვენტარი ფიზიკური გაჯანსაღებისა და გართობისათვის, ტრენაჟორები, ყველაფერი ის, რაც „უმოძრაობის საუკუნეში“ განსაკუთრებით ბავშვების ფიზიკური აქტივობის ამაღლებას შეუწყობდა ხელს (რაღა თქმა უნდა, ავტომატ-დანადგარები და ღია ატრაქციონები არა გვაქვს მხედველობაში). საცირკო სანახაობათა დაწყების წინ ბავშვები გაერთობოდნენ სუფთა ჰაერზე, ჰაერი კი, აქ, მოგეხსენებათ, მართლა სუფთაა, ქალაქის ცენტრის სხვა ადგილებთან შედარებით.**

თ. ჯ. — ჩვენი ტერიტორია, მართლაც შესაშურია. ჩანაფიქრი დიდი გვაქვს, მაგრამ, მთავარი მაინც მისი პრაქტიკული განხორციელებაა. ჯერ ერთი, თუ რაიმეს გაკეთებას დავაპირებთ, მისი განხორციელებისათვის ათასგვარი ბარიერების გადალახვა გვიწევს — ქალაქის საბჭო, არქიტექტორთა კავშირი, რაისაბჭოს აღმასკომი (საბედნიეროდ, პარტიის რაიკომები ჩამოგვცილდა!). მათთან შეუთანხმებლად, ხომ იცით, არაფრის გაკეთება არ შეიძლება. გვინდა ავაგოთ სავარჯიშო დარბაზიც, მაგრამ ყველაფერს დიდძალი თანხა სჭირდება, რომელიც, სამწუხაროდ, ქართულ ცირკს დღესდღეობით არ გააჩნია.

გადავწყვიტეთ „სოიუზგოსცირკს“ გამოვეყოთ და რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს დავექვემდებაროთ. ჩვენს წინადადებას სამინისტროს ამჟამინდელი ხელმძღვანელობა დიდი სიხარულით შეხვდა, დახმარების იმედიც მოგვცა. ვნახოთ! თავს არ დავზოგავთ, რათა ჩვენს ტერიტორიაზე სპორტული და დასასვენებელი კომპლექსი შეიქმნას.

ნ. მ. — ვეთანხმები ბატონ თემურს, ჩვენი ცირკი, ადგილმდებარეობის მხრივ, მართლაც იდეალურია, მაგრამ ბევრი რამ გვაკლია, კარგი იქნება, თუ ეროვნული ცირკი იქცევა მოსახლეობის კულტურული დასვენებისა და გართობის ერთ-ერთ უსაყვარლეს კერად. დაგეგმილია, გაკეთდეს ესკალატორი, რომელიც ხელს შეუწყობს იმას, გვესტუმრონ როგორც ბავშვები, ისე, ხანშიშესული ადამიანები, თავისუფლად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. აუცილებლად გვჭირდება მეორე მანეჟი, ბავშვთა და მომავალი მსახიობების მოსამზადებლად.

გადაწყვეტილი გვაქვს, ცირკის ტერიტორიაზე დავდგათ ტრენაჟორები და დანადგარები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ბავშვთა ფიზიკურ გაჯანსაღებას. რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას სჭირდება ისევ და ისევ სახსრები. შემოსავლების 51 პროცენტი მთლიანად „სოიუზგოსცირკში“ მიდიოდა, დამოუკიდებლობის მიღწევით ფინანსური პრობლემაც გარკვეულწილად მოგვარდება.

დიდ დახმარებას გვპირდება ახალარჩეული პარლამენტი, კულტურის სამინისტრო. განახლებული ცხოვრება დიდი იმედებით გვავსებს!

ესაუბრა
**გოჩა ხარატიშვილი.**





**უნდა** ნახოთ, როგორი მზრუნველობით უვლიან ბავშვები ამ მოხდენილ არსებებს. ყოველ ცხენს ჰყავს თავისი „პატრონი“. სკოლაში კი თითქმის ორასი მოზარდია.

ისინი ამაყობენ თავიანთი ოთხფეხა მეგობრებით; ზეპირად იციან მათი გენეალოგია; ყოველდღიურ მეცადინეობებზე დაუღალავად ხვეწენ კონკურის, ცხენის გაწვრთნისა და სამჭიდის ელემენტებს.

მწვრთნელთა გამოცდილმა შემადგენლობამ სკოლის დირექტორის, სპორტის ოსტატ ზურაბ დუნდუას ხელმძღვანელობით აღზარდა საცხენოსნო სპორტის მრავალი ოსტატი, საქართველოს ჩემპიონი, საკავშირო ასპარეზობათა პრიზიორი.

განათლების სამინისტროს ამ რესპუბლიკურ საცხენოსნო სპორტულ სკოლაში ჩამოყალიბებულია 19 ჯგუფი თბილისში; ჯგუფები გახსნილია აგრეთვე სენაკში, ოჩამჩირეში, გულრიფშში...



**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: სპორტის ოსტატი, მწვრთნელი გელა ტატანაშვილი რჩევა-დარიგებას აძლევს შეგირდს; მორიგი წვრთნა დაიწყო; მოთელვაზე.**

**შახვალად აივაზოვის ფოტო (სხ „საქართველოს“ ფოტოქრონიკა)**

# განა რა უდგას წინ?

**სიმძიმეების** აწევა ჩვენში ნაკლებად პოპულარული სახეობაა. არადა, იგი საკმაოდ მიმზიდველი და საინტერესო სანახაობაა და, რაც მთავარია, ხელსაც უწყობს ადამიანის ფიზიკურ განვითარებას. სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მას ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. ეს მაშინ, როცა სიმძიმეების აწევის დანერგვა და განვითარება არც დიდ ხარჯებს მოითხოვს, არც განსაკუთრებულ პირობებს.

ეს სახეობა დღეს ძირითადად ოთხ რაიონშია დანერგილი — წითელწყაროში, თელავში, ოზურგეთში და წყალტუბოში. საქართველოს ჩემპიონატში, რომელსაც ამას წინათ უმასპინძლა წითელწყარომ, საპრიზო ადგილები სწორედ ამ რაიონების წარმომადგენლებმა დაიკავეს. გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს მასპინძლებმა — წითელწყაროელმა ძალოსნებმა, მეორე ადგილზე თელაველი სპორტსმენები გავიდნენ, მესამეზე — ოზურგეთელები.

**ვალერიან შავიშვილი**

# საგზურები გაინაწილეს

**დედაქალაქის** მოჭადრაკე ვაჟთა 62-ე ჩემპიონატის ბოლო, მე-15 ტურში გაირკვა თბილისის ჩემპიონის ვინაობა. ეს ტიტული მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა იანის პოპოვმა. ამ ტურში იგი დაუზავდა იური ნეჩაევს, დააგროვა 11,5 ქულა და ყველასათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. მან 8 პარტია მოიგო და 7 ყაიმით დაამთავრა. ამასთან, მოიპოვა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება.

11-11 ქულით II-III ადგილები გაიყვეს დავით პაქსაშვილმა და ირაკლი ღვამიჩავამ. 10,5 ქულით მეოთხე ადგილი წილად ხვდა დავით ტიკურიშვილს. სამივე მოჭადრაკე საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში ითამაშებს.

# კიდევ ერთი კლუბი

ლაგოდეხში შეიქმნა საჭადრაკო-საშაშო კლუბი, რომლის დაარსების ინიციატორია ადგილობრივი სპორტსკოლის მწვრთნელი ჭადრაკში ზაქარია ბატიაშვილი. სპორტის ამ სახეობათა აქაურმა მოყვარულებმა იგი ამ ახალი კლუბის თავმჯდომარედაც აირჩიეს.

უკვე ჩატარდა უმცროსი ასაკის მოსწავლეთა საჭადრაკო ტურნირი. მალე დაიწყება მოსწავლე მოჭადრაკეთა კიდევ ერთი შეჯიბრება, რომელსაც მოშაშეთა ტურნირიც მოჰყვება.

ლაგოდეხელთა ახალ კლუბს განზრახული აქვს, კონტაქტები დაამყაროს რესპუბლიკის სხვა ქალაქების კლუბებთან, ამხანაგური შეხვედრები გამართოს სხვადასხვა გუნდებთან.

**„ლელოს“ კორ.**

# ალფრედო დი სტეფანო: „ქართულ ფეხბურთს მსოფლიო სარბიელი ელის!“

„ახალგაზრდა ჟურნალისტია?.. ქართველი?... სიამოვნებით მივიღებ, საღამოს სახლში მეწვიეთ“ — ასეთი პასუხი მიიღო ჩემმა მასპინძელმა — მადრიდში მცხოვრებმა ქართველმა ქალბატონმა თამარ ბერიძემ ტელეფონით საუბრისას.

წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული — ქალბატონ თამარის მოსაუბრე ხომ თვით დი სტეფანო — მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, ამჟამად მადრიდის „რეალის“ ვიცე-პრეზიდენტი და მწვრთნელი გახლდათ.

არც კი მახსოვს, როგორ გავიდა შეხვედრამდე დარჩენილი დრო.

...კარი სიმპათიურმა, ჭარმაგმა კაცმა გაგვიღო. ეს ლეგენდარული ალფრედო დი სტეფანო გახლდათ. ჩემი ვიზიტი სწორედ იმ დროს დაემთხვა, როდესაც დი სტეფანო დაინიშნა „რეალის“ მწვრთნელად. ჩვენი საუბარიც ამ ამბით დაიწყო.

— ეს სეზონი „რეალმა“ საკმაოდ უფერულად დაიწყო — გვითხრა მასპინძელმა, — გუნდს ვეღარ ვცნობდი. მარცხი მარცხს მოსდევდა. კლუბის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, დაეთხოვა მწვრთნელი ჯონ ტოშაკი, რომელმაც საერთო ენა ვერ გამონახა ფეხბურთელებთან. კლუბის პრეზიდენტმა დახმარება მთხოვა. მართალი გითხრათ, დიდი სურვილი არ მქონდა. მწვრთნელად მუშაობისა, მაგრამ „რეალთან“ ხომ ძალზე ბევრი რამ მაკავშირებს. ამიტომ, მცირე ყოყმანის შემდეგ. წინადადება მივიღე.

● **თქვენი კონტრაქტის ვადა ხანგრძლივია?**

— ჯერჯერობით — ექვსთვიანი. მარტის ბოლომდე. ვუხელმძღვანელებ გუნდს. კლუბის პრეზიდენტს დავპირდი, რომ გავაუმჯობესებ „რეალის“ თამაშის ხარისხს და ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გავიყვან. დანარჩენი კი ჩემმა მემკვიდრემ გააკეთოს. ძველი დი სტეფანო აღარ ვარ, ასაკში შევედი. ცოტას ავადმყოფობ კიდეც. მწვრთნელობას, მოგეხსენებათ, ძალზე დიდი ენერგია და ძალისხმევა სჭირდება. ცხადია, ჯობს კლუბის ვიცე-პრეზიდენტად იმუშაო და გუნდის საორგანიზაციო საქმეებს მიხედო. ასე თუ ისე, ჯერჯერობით ჩემ მიერ დასახული გეგმა წარმატებით სრულდება. ქვეყნის ჩემპიონატის ოთხი შეხვედრიდან ოთხივე მოვიგეთ. ესპანეთის სუპერთასის პირველ მატჩში სტუმრად დავამარცხეთ „ბარსელონა“ („რეალმა“ განმეორებით შეხვედრაშიც სძლია ბარსელონელებს — 4:1 და სუპერთასს დაეუფლა — მ. რ.). ასე რომ, როგორც ხედავთ, ჩემი დანაპირები ჰაერში ნასროლი სიტყვები არ გახლავთ!

● **ცხადია, გხურთ ახლანდელი „რეალი“ 50-იანი წლების „დიდ „რეალს“ დაემსგავსოს.**

— სურვილი კი მაქვს, მაგრამ, ვშიშობ, ეს არ მოხერხდება. იმდროინდელი „რეალის“ ბადალი გუნდი მგონი მთელ მსოფლიოშიც არ იყო. თავს ბედნიერად ვთვლი, რომ მეც მისი წევრი ვიყავი. 10 წლის მანძილზე ვინარჩუნებდით იმ უძლიერეს შემადგენლობას, სტაბილურ სათამაშო ფორმას. ხუთჯერ მოვიპოვეთ ჩემპიონთა თასი, ორჯერ ფინალისტები ვიყავით. მოთამაშეებიც დიდებული გვყავდა: ალონსო, მუნიოსი, ნავარო... მოგვიანებით, სახელგანთქმული უნგრელი პუშკაში და არანაკლებ დიდებული ფრანგი კოპა შემოგვემატნენ, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა „რეალი“. თანდათანობით მომძლავრდნენ სხვა კლუბები, განსაკუთრებით იტალიისა და ინგლისის. ძველი „რეალი“ კი, სამწუხაროდ, დაიშალა და ჩვენს ჰეგემონიასაც ბოლო მოეღო. მას შემდეგ, „რეალი“, მართალია, გარკვეულ წარმატებებს აღწევს, მაგრამ „იმ“ გუნდის შექმნა, არა მგონია, ოდესმე კიდევ მოხერხდეს.

● **რა იყო საფუძველი „დიდი „რეალის“ შეუდარებლობისა?**

— ძლიერი მოთამაშეები სხვა კლუბებსაც ჰყავდათ, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, ვერ იყენებდნენ. „რეალში“ მუშაობდა ისეთი სპეციალისტი, როგორიც სანტიაგო ბერნაბეუ იყო. მან მართლაც ბევრი რამ გააკეთა გუნდისთვის და სწორედ მისი წყალობით მივაღწიეთ ასეთ წარმატებას.

● **დონ ალფრედო, ქართველ ფეხბურთელთაგან თუ შეხვედრიხართ ვინმეს?**

— როგორ არა, ოღონდ საბჭოთა ნაკრებთან თამაშის დროს. რა დამავიწყებს დიდებულ ქართველ გარემარბებს: მეტრეველსა და მესხს. კარგად მახსოვს თქვენი მშვენიერი საფეხბურთო დირიჟორიც ყიფიანი — მაღალი, წარმოსადეგი, ულვაშებიანი კაბალიერო. სამწუხაროდ, იგი სწორედ „რეალთან“ თამაშისას დაშავდა. ბევრი მსმენია თქვენს „დინამოზეც“. სიტყვამ მოიტანა და რასა იქმს დღევანდელი „დინამო“?

(აქ ჩემი და ალფრედო დი სტეფანოს როლები დროებით შეიცვალა — ახლა მე ვპასუხობდი შეკითხვებზე. ვუამბე დღევანდელ საქართველოზე, ქართულ ფეხბურთზე, მის მდგომარეობაზე, ცვლილებებზე, რომლებიც უკანასკნელ ხანს ჩვენს ფეხბურთში მოხდა).

დაახლოებით ნახევარსაათიანი დიალოგის შემდეგ დი სტეფანომ ასეთი დასკვნა გააკეთა:

— რა თქმა უნდა, თუ თავისუფლება გსურთ, თქვენი გადაწყვეტილება აბსოლუტურად მართებულია, ქართველები მართალნი ხართ. ცხა-




დონ ალფრედოს ავტოგრაფი „ლელოს“ ბლოკნოტში: „გაზეთ „ლელოს“, დიდი პატივისცემით!“

დია, პოლიტიკა და სპორტი შორს უნდა იდგნენ ერთმანეთისგან, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ისინი მჭიდროდ უნდა შეკავშირდნენ. უეჭველია, თავიდან გაგიჭირდებათ, ფიფა-ც გამოიტანს არასასურველ სანქციებს, მაგრამ თქვენმა ფედერაციამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეწყვიტოს ბრძოლა: ქართულ ფეხბურთს მსოფლიო სარბიელი ელის! ცხადია, არავის და-



ის „დიდი „რეალი“... დი სტეფანოს, ცხადია, მისივე ავტოგრაფით იცნობთ.

ხმარების იმედი არ უნდა გქონდეთ, ფიფა-სთან ურთიერთობის გაფუჭებას ხომ ყველა ერიდება.

● **თქვენ წარმოშობით არგენტინელი ბრძანდებით. ერთ მშვენიერ დღეს კი ესპანეთში გადმოსვედით საცხოვრებლად. ხომ არ ნანობს არგენტინა ასეთი ვარსკვლავის დაკარგვას?.**

— უნდა ვიფიქროთ, რომ — არა! არგენტინელებმა კარგად იციან, რომ ჩემნაირი ფეხბურთელები ერთ ქვეყანას არ ეკუთვნიან. ამიტომ იქ უნდა მეთამაშა, სადაც სრულად გამოვავლენდი ჩემს შესაძლებლობებს, გულშემატკივრებს მეტ სიამოვნებას მოვგვრიდი. ასეთი ქვეყანა და გუნდი იმხანად ესპანეთი და მადრიდის „რეალი“ გახლდათ. ცხადია, არგენტინელებსაც ძალიან ვუყვარდი, დღესაც პატივს მცემენ და არასოდეს უთქვამთ ჩემთვის საყვედური ასეთი „ღალატისათვის“. ისე კი, არგენტინაც და ესპანეთიც, ორივე ჩემი სამშობლოა. მე მათ ვერც კი განვასხვავებ ერთმანეთისგან. ეს განურჩევლობა იმდენად დიდია, რომ, როდესაც ამ ქვეყნების ნაკრები გუნდები ხვდებიან ერთმანეთს, თამაშს ვერც ვუყურებ. ერთი სიტყვით, არ ვიცი, ვის ვუქომაგო.

● **ფეხბურთის მოყვარულთა და სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად პელეა აღიარებული. მაგრამ ზოგი თქვენ, ზოგი კი კრუიფს ანიჭებს უპირატესობას. საინტერესოა თქვენი აზრი ამის თაობაზე.**

— არ მიყვარს შედარებები, მითუმეტეს, თუ ისინი პირადად მე მეხება. მაგრამ, ვეცდები, მაინც გიპასუხოთ. ჩემი აზრი ასეთია: კრუიფი, ჩარლტონი, მე თუ სხვა მსგავსი ფეხბურთელი გარემოცულნი ვიყავით ბრწყინვალე პარტნიორებით. სხვაგვარად ჩვენ ვერ მივაღწევდით შესაფერის დონეს. ცხადია, ძლიერი პარტნიორების ნაკლებობას არც პელე განიცდიდა, მაგრამ იგი ის ფეხბურთელი გახლდათ, რომელიც ნებისმიერ სუსტ გუნდშიც მთელი ბრწყინვალებით გამოირჩეოდა. დანარჩენის განსჯა თქვენთვის მომინდვია.

● **ვის თვლით დღეისთვის მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელად და კლუბად?**

— მარადონას! იგი შესანიშნავი ფეხბურთელია და, ვფიქრობ, კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, ახირებული ხასიათი რომ არ ჰქონდეს. რაც შეეხება კლუბს, „მილანს“ მივანიჭებდი უპირატესობას. ჩემი აზრით, იგი ყველაზე ნაღდ ფეხბურთს თამაშობს.

● **იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე. ესპანეთის ნაკრები წარუმატებლად გამოვიდა, არადა, გუნდი თითქოს კარგად იყო მომზადებული. მაინც რა მოხდა მაშინ?**

— ნაკრების ხელმძღვანელობის „სამზარეულოში“ ჩახედული არ ვიყავი, ამიტომ, ზუსტად ვერ ვუპასუხებ თქვენს კითხვას. ესპანეთის ნაკრები იტალიაში ის იშვიათი გამონაკლისი იყო, რომელიც შეტევაზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე დაცვაზე და აკი დაისაჯა კიდეც.

● **მსოფლიო ფეხბურთს თუ ჰყავს დღეს ღირსეული ჩემპიონი?**

— სამწუხაროდ, ფეხბურთი დეგრადაციის გზით მიდის. ძალზე ცოტა გოლი გადის, გუნდები ძირითადად დაცვით ფეხბურთს თამაშობენ და მეტოქის კარს იშვიათად აწუხებენ. მსოფლიო ჩემპიონი — დასავლეთ გერმანიის გუნდი აღიარებდა პრინციპს — „შენობის დანგრევა უფრო ადვილია, ვიდრე მისი აშენება“. იგი დღევანდელ ფეხბურთს საკმაოდ კარგად მოერგო. ისე არ გამიგოთ, თითქოს ჩემპიონის ღირსებას ვლახავდე, მას ძალზე კარგი შემსრულებლები ჰყავს, განსაკუთრებით მათეუსი და ბრემე, მაგრამ... ფეხბურთი მაინც შეტევის თამაშია! ჩვენ ხომ სწორედ ასეთ ფეხბურთს ვთამაშობდით!

● **ფეხბურთის გარდა, სხვას რას საქმიანობთ?**

— მე პროფესიონალი ფეხბურთის მსახური ვარ და მის გარდა, სხვა საქმისთვის, არასოდეს მომიკიდია ხელი. ფეხბურთი იყო, არის და მუდამ დარჩება ჩემს მოწოდებად და მთავარ სიყვარულად. საერთოდ კი, ადამიანმა უნდა აკეთოს ის



დონ ალფრედო

საქმე, რომელიც ძალიან უყვარს და სხვაზე უკეთ იცის.

● **თავისუფალი დრო, ალბათ, არც გრჩებათ?**

— ეს პრობლემა მუდამ მდევდა თან, მაგრამ მაინც ვახერხებდი მცირეოდენი დროის გამონახვას ოჯახისთვის, ცოლ-შვილისთვის. ხომ ნახეთ — მყავს მოსიყვარულე მეუღლე, ექვსი შვილი და ოთხი შვილიშვილი, რომელთათვის არასდროს დამიკლია ყურადღება და ახლაც, მთელ თავისუფალ დროს მათთან ერთად ვატარებ.

● **თქვენი სპორტული კარიერის მანძილზე. მრავალ გამოჩენილ ადამიანს შეხვედრიხართ. ვინ დატოვა მათგან ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?**

— მართლაცდა, ჩვეულებრივ შეხვედრებსა თუ წვეულებებზე ხშირად მქონდა ურთიერთობა ცნობილ მწერლებთან, კინომსახიობებთან, მხატვრებთან, პოლიტიკურ მოღვაწეებთან. მაგრამ, პირდაპირ გეტყვით, არასოდეს შემხვედრია ყველასთვის კარგად ცნობილი ფრანსისკო ფრანკოსებრ ძლიერი და საინტერესო პიროვნება. ფრანკო ჩემი თამაშის დიდი მოტრფიალე იყო და თითქმის არ აცდენდა „რეალის“ მატჩებს. ხშირად ვჭვდებოდი სტადიონის გარეთაც — არაერთხელ ვყოფილვარ მასთან მიღებაზე. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ფრანკოსთან კეთილ ურთიერთობას ჩემთვის უკვალოდ არ ჩაუვლია. მისი სიკვდილისა და ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ. მე გარკვეული პრეტენზიები წამოიყენეს. პირდაპირ მითხრეს, რომ ფრანკოს მმართველობის წლებში არ უნდა მეთამაშა ფეხბურთი. ბოლოს, ალბათ, მაინც ძველმა „დიდებამ“ მიშველა. ასე რომ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

● **დონ ალფრედო, ძველი „რეალის“ ფოტოსურათებზე თქვენ ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას — წინა რიგის ცენტრში ხართ ხოლმე ჩამუხლული. ცრურწმენაა ეს თუ...**

— არავითარი ცრურწმენა. ისე კი, ღრმად მორწმუნე კათოლიკე ვარ, ხოლო ცრუმორწმუნე ის არის, ვისაც ღმერთისა და საკუთარი თავის არ სჯერა. უბრალოდ, მე მეცხრე ნომერი — ცენტრალური თავდამსხმელი ვიყავი და სურათებზეც ჩემი ადგილი სწორედ ცენტრში გახლდათ.

● **მადლობას მოგახსენებთ გულთბილი მიღებისა და გულახდილი ინტერვიუსათვის. ცხადია, დიდ ბოდიშს გიხდით, ამდენი დრო რომ წაგართვით...**

— არა უშავს. ჟურნალისტებს პატივს ვცემ. საიდუმლოს გაგიმხელთ: მსოფლიოს არცერთი გაზეთის კორესპონდენტს არ შეუძლია უსასყიდლოდ აიღოს ჩემგან ინტერვიუ — საკმაოდ სოლიდურ ჰონორარს მიხდიან ხოლმე ამისათვის. მაგრამ თქვენ ხომ ახალგაზრდა კაცი ბრძანდებით. ისიც ვიცი, რომ ეს ინტერვიუ, ალბათ, რაიმეს შეგმენთ და ამიტომ დავუშვი გამონაკლისი. საერთოდ, დიდ პატივს ვცემ ახალგაზრდებს, არც თამაშის და არც მწვრთნელობის დროს არ შემიზღუდავს ისინი. პირიქით, მუდამ ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი მესწავლებინა მათთვის, დავხმარებოდი, რითაც შემეძლო. ხვალინდელი საქმეები ხომ სწორედ ახალგაზრდებმა უნდა აკეთონ!

დავემშვიდობე გულთბილ მასპინძელს. გონებიდან მისი სიტყვები არ მშორდებოდა: „თუ კვლავ მოხვდებით მადრიდში, იცოდეთ, აუცილებლად მინახულეთ“...

მომავალ შეხვედრამდე, დონ ალფრედო!

**მერაბ რატიშვილი,**
**„ლელოს“ სპეც. კორ.**

**მადრიდი — თბილისი.**

---

**მინიფეხბურთის დამოუკიდებელი ასოციაცია**

## ვიტალი დარასელიას სახელობის ტურნირი

„ლელოს“ მკითხველებს უკვე ვაუწყეთ, რომ შეიქმნა საქართველოს მინიფეხბურთის დამოუკიდებელი ასოციაცია. და აი, ეს ასოციაცია 1991 წლის 1 თებერვლიდან ათი დღის განმავლობაში თბილისში გამართავს ვიტალი დარასელიას სახელობის მინიფეხბურთელთა ტურნირს. რედაქციაში გვეწვია ამ ასოციაციის პრეზიდენტი ნ. წულაია, რომელსაც ესაუბრა „ლელოს“ კორესპონდენტი.

● **თქვენი შტაბ-ბინა ფოთშია. როგორ მოახერხებთ ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას?**

— ვისაც ამ ტურნირში მონაწილეობა სურს, მოგვმართოს მისამართით: ფოთი, 26 მაისის ქუჩა, 4. პროფსპორტსაბჭო, საქართველოს მინიფეხბურთის დამოუკიდებელი ასოციაცია. ტელეფონი 5-55-27.

● **ვის შეუძლია იასპარეზოს ტურნირში?**

— ყველა მსურველს, ოღონდ ერთი პირობით — გუნდში არ უნდა გამოდიოდეს ფეხბურთელი, რომელიც 1990 წლის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდების განაცხადში იყო შეყვანილი.

● **ტურნირს საპრიზო ფონდი თუ ექნება?**

— საპრიზო ფონდი 20 ათასი მანეთია, რომელიც ჩვენმა ასოციაციამ გამოჰყო. გამარჯვებული გუნდი მიიღებს 10 ათას მანეთს, მეორე ად-



გილზე გასული — 4 ათასს, მესამე ადგილისთვის განსაზღვრულია 2 ათასი მანეთი. აქვე დავძენ, რომ ვიტალი დარასელიას შვილს, პატარა ვიტალის გადაეცემა 4 ათასი მანეთი. ტურნირის მოსამზადებელ ხარჯებსაც ჩვენ გავიღებთ.

● **მატჩების რეგლამენტზე რას გვეტყვით?**

— ყოველი მატჩი ჩატარდება ორი 25-წუთიანი ტაიმით. შესვენება ტაიმებს შორის იქნება 5 წუთი. წინასწარი თამაშები ჩატარდება სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ და ასკ-ს დარბაზებში, მატჩები I-IV ადგილებისთვის თბილისის სპორტის სასახლეში მოეწყობა. წინასწარი ვარაუდით, შეჯიბრებაში ალბათ დაახლოებით 24 გუნდი ჩაებმება.

● **ზემოთ ხარჯები ახსენეთ. მგზავრობის, კვების და ბინის საფასურს ვინ გაიღებს?**

— მიმავლინებელი ორგანიზაციები. სასტუმროს ჩვენ დავუკვეთავთ. მონაწილეები თბილისში 31 იანვარს შეიკრიბებიან.

● **როგორი უნდა იყოს დებულებით გუნდების განაცხადი?**

— ყოველ გუნდში უნდა იყოს 10 მოთამაშე, ერთი მწვრთნელი — წარმომადგენელი, სავალდებულოა, გუნდს ჰქონდეს ორი კომპლექტი განსხვავებული ფერის მაისურებისა (დანომრილი, მეკარის ნომერია 1).

● **მოკლედ, ტურნირის უმთავრეს მიზანზე...**

— მიზანი ნათელია — რესპუბლიკაში მინიფეხბურთის პოპულარიზაცია, ამ სახეობაში საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატისათვის მზადება, მინიფეხბურთში ეროვნული ნაკრები გუნდის კანდიდატების წინასწარი დათვალიერება-შერჩევა.

**ესაუბრა ციტნე ბაქრაძე.**

# სამი ტურის შემდეგ

**ბრძოლდება** კალათბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება.

პირველ ჯგუფში მოხდა სენსაცია. ხაპატიო პრიზის მფლობელმა იტალიის „კნორმა" გასვლითი მატჩი წააგო საფრანგეთის „შოლესთან" — 82:104, ხოლო პორტუგალიის „ოვერი" მოსკოვში ადგილობრივ „დინამოსთან" დამარცხდა — 83:100.

სამი ტურის შემდეგ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „კნორი" | 3 | 2 | 1 | 5 |
| „შოლე" | 3 | 2 | 1 | 5 |
| „დინამო" | 3 | 2 | 1 | 5 |
| „ოვერი" | 3 | 0 | 3 | 3 |

მეორე ჯგუფში მორიგი ტურის მატჩები ასეთი შედეგებით დასრულდა: „პაოკი" (საბერძნეთი) — „ჰაპოელი" (ისრაელი) 107:77, „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) — კაი (ესპანეთი) 109:113.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „კაი" | 3 | 3 | 0 | 6 |
| „პაოკი" | 3 | 2 | 1 | 5 |
| „ჰაპოელი" | 3 | 1 | 2 | 4 |
| „ცრვენა ზვეზდა" | 3 | 0 | 3 | 3 |

# სარეკორდო მატჩი

**ამერიკის** შეერთებული შტატების სტუდენტ კალათბურთელთა ჩემპიონატის მატჩში „ლოიოლასა" და „გალსს" შორის გაუმჯობესდა რამდენიმე რეკორდი. სარეკორდოდ გამოცხადდა ანგარიში, რომლითაც მოიგო „ლოიოლამ" ეს ორთაბრძოლა — 186:140. თუმცა, როგორც გაირკვა, ერთი წლით ადრე იმავე „ლოიოლას" ერთ-ერთი სტუდენტური კლუბი ასევე დიდი ანგარიშით დაუმარცხებია — 181:150.

სტუდენტთა კალათბურთში შედეგიანობის რეკორდი (ერთ მატჩში) აქამდე პიტ მარავიჩს ეკუთვნოდა, რომელმაც 20 წლის წინ თავის კლუბს 69 ქულა შესძინა.

„ლოიოლა" — „გალსის" შეხვედრაში გაუმჯობესდა ეს რეკორდიც, მაგრამ ამჯერად თავი დამარცხებული კლუბის წარმომადგენელმა კევინ ბრედშოუმ გამოიჩინა: „გალსს" მან 72 ქულა შესძინა. ბრედშოუმ მოედანზე დაჰყო 40 წუთი, შეასრულა 23 ზუსტი ტყორცნა (59-დან), მათ შორის 7 სროლა იყო სამქულიანი. სნაიპერმა ზუსტად გამოიყენა, აგრეთვე, 19 საჯარიმო ტყორცნა (22-დან).

# სარეკორდოდ მოზიდული ისრები

(დასასრული)

უქცია, მაგრამ ექსპერიმენტმა არ გაამართლა. ახლა კვლავ ძველ მოდელს დავუბრუნდი და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა. ვფიქრობ, ხელიდან არ გავუშვებ გამარჯვებას მ-3 — მ-4 ვარჯიშში, რომელიც პირველად ტარდება ჩვენში. როგორც წესი, იგი დაძაბული ბრძოლით აღინიშნება".

და მართლაც, ნატომ თანაბრად განვლო 25 მეტრზე სროლის ორივე წრე და დამაჯერებელი რევანშიც აიღო. მისი შედეგია 563 ქულა. რაც შეეხება ხ. ქვრივიშვილს, ეტყობა, მან მთელი ძალა მ-1 ვარჯიშს შეალია (ეს სავსებით ბუნებრივიც არის), ისეთი შემართებით ვეღარ იასპარეზა და 551 ქულით მხოლოდ მეორე საპრიზო ადგილს დასჯერდა; მესამე ადგილზე კი ვეტერანი სპორტის ოსტატი ირინა გრებენიკოვა გავიდა (544 ქ.).

ვაჟთა ასპარეზობაში ტოლი არ ჰყავდა თბილისელ არმიელ სპორტის ოსტატ სერგო გათიკაევს, რომელმაც მ-1-ში 316 ქულით და რამდენიმე რესპუბლიკური რეკორდით დაამთავრა გამოსვლა. მაგალითად, 50 მეტრზე სროლაში 350 ქულა დააგროვა და 4 ქულით გააუმჯობესა თავისივე 3 წლის წინანდელი მიღწევა, 90 მეტრზე სროლაში კი 300 ქულა მოაგროვა — ეს ძველ რეკორდს 3 ქულით სჯარბობს. სასტარტო წრეში (მ-1) მისი 1294 ქულაც რესპუბლიკის ახალი რეკორდია.

ვაჟთა შორის რესპუბლიკის ზამთრის პირველობის პრიზიორები გახდნენ ბათუმელი სერგო ბერიძე (312) და მისი თანაგუნდელი თამაზ ბასილაძე (310, ორივე — „შევარდენი").

გუნდური პირველობა ასე განაწილდა: ქალები: 1. თბილისი-I (ნ. ნასარიძე, ხ. ქვრივიშვილი, რ. მჟავანაძე) — 3.814; 2. თბილისი-II — 3.510; 3. თბილისი-III — 3085. ვაჟები: 1. თბილისი-I (ს. გათიკაევი, დ. ლეკვეიშვილი, ვ. სვანაძე) — 3.653; 2. აჭარა — 3.317; 3. თბილისი-II — 3.267.

არანაკლებ საინტერესო და დაძაბული გამოდგა ასპარეზობა მ-4-სა და მ-3 ვარჯიშებში, როგორც ითქვა, იგი 25 მეტრზე პაექრობით დაიწყო. აქ შეირჩა ის 16-16 მონაწილე ვაჟი და ქალი, რომელთაც მეორე დღეს 18 მეტრზე სროლაში უნდა ეცადათ ბედი. ერთი შეხედვით, ეს შეჯიბრება „იმედის რბოლის" სერიას ჰგავს, ველოსიპედისტები რომ მიმართავენ ხოლმე და რომლის პრინციპია — „თუ არ გაგიმართლა „მთავარ" ტურნირში, შეგიძლია, აქ დაამტკიცო შენი სიძლიერე". მაგრამ მშვილდოსნებთან მთლად ასე არაა. მართალია, აქაც იმავე მ-1 ვარჯიშში გამოსულნი იბრძვიან, მაგრამ ეს სრულიად განსხვავებული და დამოუკიდებელი ასპარეზობაა. აქ (18 მეტრზე სროლაში) ბრძოლა



თავიდანვე წყვილებს შორის მიმდინარეობს გამოთიშვის სისტემით. არც ისაა გამორიცხული, რომ უფრო დაბალ ადგილზე გასულ მშვილდოსანს გამარჯვებულზე მეტი ქულა აღმოაჩნდეს. [illegible] მთავარია, თანამეწყვილეს აჯობო გარკვეულ ეტაპზე და ფინალისკენ გაიკაფო გზა.

ეს დადასტურდა ამ ტურნირზეც, როცა გაირკვა ვაჟთა და ქალთა ოთხეულები, რომლებმაც საპრიზო ადგილებისათვის გააგრძელეს ბრძოლა. ესენი იყვნენ — ვაჟებში: ს. გათიკაევი, ა. ქვრივიშვილი (მესამე ადგილის პრეტენდენტები), დ. ლეკვეიშვილი, ვ. სვანაძე (ისინი უძლიერესის სახელს ეცილებოდნენ ერთმანეთს). აქ ჩემპიონის წოდება 137 ქულით მოიპოვა ვ. სვანაძემ („შევარდენი"), რომელმაც ქულით გაუსწრო „მართვეს" წარმომადგენელ მეტოქეს. აი, მესამე ადგილის მფლობელმა ს. გათიკაევმა კი 140 ქულა დააგროვა. მეოთხე ადგილზე გავიდა ა. ქვრივიშვილი — 126 ქ. ასეთი სიურპრიზი არც ქალთა „დავაში" იყო გამორიცხული. პირველობისათვის მებრძოლ წყვილში — ნ. ნასარიძე — ი. გრებენიკოვა — 137 ქულით გაიმარჯვა ნასარიძემ. მისი მეტოქის შედეგია 129 ქულა. ხ. ქვრივიშვილმა კი 141 ქულით დაამთავრა შეჯიბრება და მას მხოლოდ მესამე ადგილისათვის „ეყო" ეს მაღალი შედეგი. მეოთხე ადგილზე გასულმა ე. აბაიშვილმა 132 ქულა მოაგროვა.

**ჰ. უნგიაძე**

# პროფილაქტიკის მიზნით

**გაერთიანებული** გერმანიის ოლიმპიური კომიტეტის მეთაური ვილი დაუმე მხარს უჭერს მძლეოსანთა ოლიმპიური პროგრამის შემცირებას, ვინაიდან, ეს ღონისძიება დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად მიაჩნია. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ერთ დროს ანალოგიურ მდგომარეობაში იყო ძალოსნობა. მაშინ სპორტის ზოგიერთმა მოღვაწემ ძალოსნობის ოლიმპიური პროგრამიდან ამოღებაც კი მოითხოვა. ასეთმა პრინციპულმა პოზიციამ ხელი შეუწყო ძალოსნობაში წესრიგის დამყარებას.

დაუმეს აზრით: „გერმანიის ოლიმპიური კომიტეტის შეშფოთება საფუძველს მოკლებული არ არის. ყველასათვის ცნობილია, რომ ბოლო დროს გერმანიაში იმატა დოპინგით სარგებლობის ფაქტებმა და მწიფდება საკმაოდ უსიამოვნო და, რაც მთავარია, სამარცხვინო ეროვნული სკანდალი. ჩვენ არ მოვითხოვთ მძლეოსნობის წამყვანი სახეობების ამოღებას ოლიმპიური პროგრამიდან, მაგრამ, პროფილაქტიკის მიზნით, საჭიროა ერთგვარი რეფორმების ჩატარება".

# კალეიდოსკოპი

● **ევროპის** მომავალი ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის გაიმართება წლეულს 24-29 ივნისს რომში „პალაუერ არენას" სპორტის სასახლეში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ თავის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე.

● **მას შემდეგ**, რაც ცნობილმა ავსტრიელმა სამთომოთხილამურემ ელფრიდე ვერტანმა თავი მიანება სპორტს და ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო, 14 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მან რამდენიმე რომანი გამოაქვეყნა. მისი უკანასკნელი მოთხრობა „ქალი, რომელსაც ვერ წაშლის ქარი" (თანაავტორია მეორე, ასევე წარსულში ცნობილი სპორტსმენი ჰერბერტ ტალერი) გამოქვეყნდა შარშან, ნოემბერში.

● **წლეულს** პირველ იანვარს „აღესრულა" ყოფილი გდრ-ის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფედერაცია — აკადემიურ ნიჩბოსანთა ასოციაცია. თავისი არსებობის 40 წლის მანძილზე ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ჯერ მარტო მსოფლიო ჩემპიონატებში 94 ოქროს, 45 ვერცხლისა და 25 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. წარმატებით გამოდიოდნენ ნიჩბოსნები ოლიმპიურ თამაშებშიც (33 ოქროს, 9 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს ჯილდო).

● **იტალიის** მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე ლამაზ ფეხბურთელად აღიარებული რობერტო ბაჯო ამას წინათ მამა გახდა. მეუღლემ — ანდრიანამ მას გოგონა აჩუქა, რომელსაც ვალენტინა დაარქვეს.

● **ბილბაოში** ბასკების მეორე სპორტულ ფესტივალზე ინაკი პერურენამ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა... ლოდის აწევაში. გაოცებული მაყურებლების თვალწინ მან მიწას მოსწყვიტა 315 კილოგრამი სიმძიმის გრანიტის ვეებერთელა „ნატეხი".

# კრივის სიახლენი

ფეხბურთელთა (და არამარტო მათ) მსგავსად მოკრივეებსაც მოუწევთ წინასწარ ბრძოლა ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისათვის, სადაც, აიბა-ს გადაწყვეტილებით, სპორტსმენთა საკმაოდ შეზღუდული რაოდენობა გამოვა რინგზე. მაგრამ ამისათვის მათ სპეციალურ შერჩევით ტურნირებში გამოსვლა არ დასჭირდებათ.

გათვალისწინებულია შემუშავდეს კვოტა კონტინენტთათვის 1978 წლიდან მოყოლებული მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული შედეგების მიხედვით. კერძოდ, ევროპას გამოეყო 9-9 ადგილი 48-დან 81 კგ წონით კატეგორიებში, 13 ადგილი — 91 კგ, 9 — 91 კგ-ს ზევით წონაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ბარსელონის სარბიელზე წარდგებიან მხოლოდ მსოფლიოსა და წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები.

ამდენად, იგივე ევროპის ჩემპიონატს მარტო მოსამზადებელ ეტაპად ვერ „მონათლავ". ცხადია, საგრძნობლად გაიზრდება მსოფლიო პირველობის მნიშვნელობაც, რომელიც წელს, ნოემბერში, სიდნეიში გაიმართება. სხვათა შორის, აიბა-მ უკვე განსაზღვრა მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების ადგილები: 1993 წელი — ტამპერე, 1995 წელი — ბერლინი.

# ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში



**საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის აბიტურიენტთა საყურადღებოდ!**

ინსტიტუტის მიმღები კომისია გაცნობებთ, რომ 1991 წლის მისაღებ გამოცდებზე გათვალისწინებულია შემდეგი საგნების ჩაბარება:

**დღის სწავლების ფაკულტეტებზე**

ცურვა (ჩათვლა), ფიზიკური მომზადება (გამოცდა), სპორტის არჩეული სახეობა (გამოცდა), ბიოლოგია (გამოცდა, ზეპირი), მშობლიური ენა (გამოცდა, წერა).

**დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე**

ცურვა (ჩათვლა), ფიზიკური მომზადება (გამოცდა), ბიოლოგია (გამოცდა, ზეპირი), მშობლიური ენა (გამოცდა, წერა).

გამოცდები ჩატარდება ჩამონათვალი საგნების თანმიმდევრობით.

**მიმღები კომისია.**

**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:**

**ანატომიის კათედრაზე**

უფროსი მასწავლებელი — I ერთეული

**საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე**

უფროსი მასწავლებელი — I ერთეული (ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი)

**საწყლოსნო სპორტის კათედრაზე**

უფროსი მასწავლებელი — I ერთეული (წყალბურთის სპეციალობით)

**მრავალჭიდის კათედრაზე**

უფროსი მასწავლებელი — I ერთეული (ტყვიის სროლის სპეციალობით)

**ჭიდაობის, კრივისა და ძალოსნობის კათედრაზე**

უფროსი მასწავლებელი — I ერთეული (ძალოსნობის სპეციალობით)

კათედრის დოცენტი — I ერთეული (ჭიდაობა ძიუდოს სპეციალობით)

**სათხილამურო და ველოსპორტის კათედრაზე**

უფროსი მასწავლებელი — I ერთეული (ველოსპორტის სპეციალობით)

**სპორტული მედიცინის კათედრაზე**

უფროსი მასწავლებელი — I ერთეული (სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალობით).

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა. ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში. ტელ. 23-09-02.

**მისამართი:** თბილისი, ი. ჭავჭავაძის, 49.

**რედაქტორი**
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

**საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კავშირის გენერალური მდივანი**

**ავთანდილ ლევანის ძე მჭედლიშვილი**

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ი. ჩახვაშვილი, კორექტორები ც. ჩიტიშვილი და მ. ძებამიძე.

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20